აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება _ საარქივო სამმართველოს და მისი ტერიტორიული ორგანოების არქივების მიერ 2017 წლის გეგმის შესრულების

a n g a r i S i

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველო მუშაობას წარმართავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საქართველოს ეროვნულ არქივთან შეთანხმებული ძირითად ღონისძიებათა გეგმის შესაბამისად.

მიმდინარე წელს საარქივო სამმართველოს და მის ტერიტორიულ ორგანოების არქივების მიერ, მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდა დოკუმენტების დაცვისა და შენახვის უზრუნველყოფის, აღრიცხვის, დოკუმენტების საინფორმაციო-საძიებო სისტემის შექმნისა და განვითარების, საქმისწარმოების ორგანიზაციის, დოკუმენტების ფორმირების, მათი შემფასებელი ექსპერტიზის და საუწყებო შენახვის, დოკუმენტების გამოყენების და პუბლიკაციის, სამეცნიერო-მეთოდური მუშაობის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება-განმტკიცებისათვის.

I _ დოკუმენტების დაცვა და შენახვა

1.ა) 2017 წელს ყდაში ჩასმა-ჩაკერება ჩაუტარდა სულ 36 036 საქმეთა ერთეულს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 13353 საქმეთა ერთეულისა და გეგმა შესრულდა 269%-ით. მათ შორის საარქივო სამმართველოში ყდაში ჩასმა-ჩაკერება ჩაუტარდა 32 647 საქმეთა ერთეულს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10329 ს/ერთეულისა და გეგმა შესრულდა 316 %-ით.

ტერიტორიულ ორგანოს არქივებში **ყდაში ჩასმა-ჩაკერება** ჩაუტარდა სულ 3386 საქმეთა ერთეულს: **ქობულეთის** არქივში 905 ს/ერთეულს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 745 ს/ერთეულისა და გეგმა შესრულდა 121 %-ით; **ხელვაჩაურის** არქივში 850 საქმეს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 700 საქმისა და გეგმა შესრულდა 121%-ით; **ქედის** არქივში 630 აქმეს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 616 საქმისა და გეგმა შესრულდა 102 %-ით; **შუახევის** არქივში 695 საქმეს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 663 საქმისა და გეგმა შესრულდა 104 %-ით; **ხულოს** არქივში 306 საქმეს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 300 საქმისა და გეგმა შესრულდა 102 %-ით. (დანართი I.1ᵃ ა.პუნქტი). აღნიშნული სამუშაოს გეგმის გადაჭარბება გამოიწვია, გაციფრისათვის, დიგიტალიზაციის პროცესის მიმდინარეობის შედეგად, ფონდებისა და საქმეთა მოწესრიგებამ და ტერიტორიულ ორგანოს არქივებში (ქობულეთი, ხელვაჩაური) გაციფრისათვის საქმეთა მომზადების პროცესმა .

ბ) 2017 წელს საარქივო სამმართველოში მარტივი ფურცლოვანი რესტავრაცია ჩაუტარდა 37 678 ფურცელს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 18 068 ფურცლისა და გეგმა შესრულდა 208 %-ით. (დანართი_1.1ბ.პუნქტი).

შემდგომისათვის გათვალისწინებულია სარესტავრაციო სამუშაოების მაღალ დონეზე შესასრულებლად, ახალი მეთოდების დანერგვა. ლაბორატორიის თანამედროვე მოწყობილობებით და საშუალებებით უზრუნველყოფა (ტექნიკით და ქიმიური ნივთიერებები). ლაბორატორიული სამუშაოების გეგმის გადაჭარბება გამოწვეულია გაციფრვისათვის ფონდების საქმეთა მომზადების გამო (საქმეთა დაშლა, ფურცლების რესტავრაცია).

2. განსაკუთრებულად ღირებული დოკუმენტების გამოვლენა.

გეგმის მიხედვით 2017 წელს გადათვალიერდა, განსაკუთრებულად ღირებული დოკუმენტების გამოსავლენად 1991 -1998 წლების აჭარის არ ტურიზმის სახელმწიფო დეპარტამენტის ფონდი რ-633 -ის საქმეები. სულ გადათვალიერდა 284 ქაღალდსაფუძვლიანი დოკუმენტი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 284 შ/ერთეულისა. გამოვლინდა 21 განსაკუთრებულად ღირებული ქაღალდისფუძიანი დოკუმენტი და გეგმა შესრულდა 100 %-ით. შედგა აღწერილობითი სია. სია განხილული იქნა საექსპერტო შემოწმებელ კომისიაზე. (დანართი I.2. ა. პუნქტი).

3. დოკუმენტების არსებობისა და მდგომარეობის შემოწმება.

საარქივო სამმართველოსა და სამმართველოს ტერიტორიულ ორგანო _ არქივებში დოკუმენტების არსებობისა და მდგომარეობის შემოწმება ჩაუტარდა სულ 36712 შ/ერთეულს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 34113 საქმისა და გეგმა შესრულდა 107%-ით. მათ შორის: მმართველობითი-ქაღალდსაფუძვლიანი 29782 შ/ერთეულის 1.441751 ფურცელს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 28 773 შესანახი ერთეულისა და გეგმა შესრულდა 103%-ით. პირადი შემადგენლობის 6930 შ/ერთეულს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5340 შ/ერთეულისა და გეგმა შესრულდა 129 %-ით.

საარქივო სამმართველოში **მმართველობითი** ხასიათის დოკუმენტებს არსებობა და მდგომარეობა ჩაუტარდა 23 888 საქმეთა ერთეულის 1.165 684 ფურცელს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 23 089 საქმისა და გეგმა შესრულდა 103 %-ით, ტერიტორიული ორგანოს _ არქივებში: **ქობულეთის** არქივში 1455 საქმეთა ერთეულის 90588 ფურცელს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1433 საქმისა და გეგმა შესრულდა 101 %-ით, **ხელვაჩაურის** არქივში 1389 საქმეთა ერთეულის 93 576 ფურცელს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1330 საქმისა და გეგმა შესრულდა 104 %-ით. **ქედის** არქივში 698 საქმის 12760 ფურცელს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 695 საქმისა და გეგმა შესრულდა 100 %-ით, **შუახევის** არქივში 1283 საქმის 31449 ფურცელს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1157 საქმისა და გეგმა შესრულდა 110%-ით, **ხულოს** არქივში 1069 საქმის 47694 ფურცელს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1069 საქმისა და გეგმა შესრულდა 100%-ით. (დანართი I.3.ა.)

ასევე საქმეთა არსებობისა და მდგომარეობის შემოწმება ჩაუტარდა **პირადი** შემადგენლობის სულ 6930 საქმეთა ერთეულს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5340 საქმისა და გეგმა შესრულდა 129 %-ით მათ შორის

საარქივო სამმართველოში 6812 საქმეს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5222 საქმისა და გეგმა შესრულდა 130%-ით.

ტერიტორიულ ორგანოს შუახევის არქივში 118 ს/ერთეული, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 118 საქმისა და გეგმა შესრულდა 100%-ით (დანართი I.3.ბ. პუნქტი).

პირადი შემადგენლობის საქმეთა არსებობისა და მდგომარეობის შემოწმება გეგმით არ იყო გათვალისწინებული ტერიტორიულ ორგანო ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის და ხულოს არქივებში.

II _ დოკუმენტების საინფორმაციო საძიებო სისტემის შექმნა და განვითარება

4. დოკუმენტების აღწერა.

დოკუმენტების საინფორმაციო _ საძიებო სისტემის შექმნისა და განვითარების კუთხით 2017 წელს გეგმით გათვალისწინებული იყო აუდიოვიზუალური 400 ფოტოდოკუმენტის აღწერა. ფაქტიურად აღიწერა 674 ფოტოდოკუმენტი და გეგმა შესრულდა 168%-ით.(იხილეთ დანართი II.4.გ.პუნქტი).

5. დოკუმენტების ანაწერების გადამუშავება-გაუმჯობესება

დოკუმენტების ანაწერების გადამუშავება-გაუმჯობესების მიზნით საარქივო სამმართველოსა და ტერიტორიულ ორგანოს არქივებში 2017 წელს, გაუმჯობესება-გადამუშავება ჩაუტარდა სულ 31 ფონდის 4590 საქმეთა ერთეულს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4404 საქმეთა ერთეულისა და გეგმა შესრულდა 104%-ით. აღიწერა 2594 საქმეთა ერთეული, გასანადგურებლად გამოიყო 1864 საქმე, ტექნიკური დაზუსტება +5 ;_102 . #2 აღწერაში გადავიდა 16 საქმე, #1 აღწერაში გადავიდა 17 საქმე, სხვა ფონდში გადავიდა 2 საქმე. აქედან საარქივო **სამმართველოში** 15 ფონდის 2520 საქმე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2490 საქმისა და გეგმა შესრულდა 101%-ით. აღიწერა 1510 საქმე, მაკულატურაში გამოიყო 903 საქმე, ტექნიკური დაზუსტება +3 ;_92. #2 აღწერაში გადავიდა 16 საქმე, სხვა ფონდში გადავიდა 2 ს/ერთეული.

ტერიტორიული ორგანოს არქივებში გაუმჯობესება-გადამუშავება ჩაუტარდა 16 ფონდის 2070 საქმეს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1118 საქმისა და გეგმა შესრულდა 185%-ით. აღიწერა 1084 საქმე, გასანადგურებლად გამოიყო 961 საქმე, ტექნიკური დაზუსტება +2;_10. #1 აღწერაში გადავიდა 17 საქმე.

ტერიტორიულ ორგანო _ **ქობულეთის** არქივში 8 ფონდის 1443 საქმეს, მაკულატურაში გამოიყო 835 საქმე, აღიწერა 608 საქმე, დაზუსტება +0;-0 საქმე, მათ შორის, გაუმჯობესება-გადამუშავება ჩაუტარდა მმართველობითი ხასიათის 4 ფონდის 414 ს/ერთეულს, პირადი შემადგენლობის 4 ფონდის 1029 ს/ერთეულს.

შუახევის არქივში 4 ფოდის 222 საქმეს. Aღიწერა 222 საქმე. აქედან გაუმჯობესება-გადამუსავება ჩაუტარდა მმართველობითი ხასიათის 2 ფონდის 92 საქმეს და პირადი შემადგენლობის 2 ფონდის 130 საქმეს.

ხულოს არქივში გაუმჯობესება-გადამუშავება 4 ჩაუტარდა 405 საქმეს. აღიწერა 254 საქმე, მაკულატურაში გამოიყო 126 საქმე. #1 აღწერაში გადავიდა 17 საქმე. ტექნიკური დაზუსტება +2;_3 აქედან მმართველობითი ხასიათის 3 ფონდის 292 ს/ერთეულს, ხ ო ლ ო პ ი რ ა დ ი შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი ს 1 ფ ო ნ დ ი ს 113 ს ა ქ მ ე.

ხელვაჩაურის და ქედის არქივში გაუმჯობესება-გადამუშავება გეგმით არ იყო გათვალისწინებული (იხ. დანართი II.5ᵃა.ბ).

ასევე გაუმჯობესება-გადამუშავება ჩაუტარდა საარქივო სამმართველოში დაცულ 2000 ფონოდოკუმენტს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2000 ფონოდოკუმენტისა და გეგმა შესრულდა 100%-ით. გადამუშავების დროს მაკულატურა არ გამოყოფილა (იხ. დანართი II.5გ.ᵃ).

6. დოკუმენტების კატალოგიზაცია გეგმით არ იყო გათვალისწინებული

III-ეროვნული საარქივო ფონდის ფორმირება.

7. დოკუმენტების მიღება.

2017 წელს საარქივო სამმართველოსა და მისი ტერიტორიულ ორგანოს არქივებში სახელმწიფო შენახვაზე მიღებულია სულ 4126 საქმეთა ერთეული, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1967 საქმისა და გეგმა შესრულდა 209%-ით. აქედან მიღებულია **მმართველობითი** ხასიათის სულ 2516 საქმე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1173 საქმისა და გეგმა შესრულდა 214 %-ით. ასევე მიღებულია **პირადი შემადგენლობის** სულ 1610 საქმე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 794 საქმისა და გეგმა შესრულდა 202%-ით. Aსევე მიღებული იქნა პირადი წარმოშობის 5 ფონდის 193 საქმე .(იხ. დანართი _ III.7ᵃბ. პუნქტი).

სამმართველოს ცენტრალურ არქივშიში მიღებული და აღრიცხვაზე აყვანილია სულ მმართველობითი ხასიათის 1994 საქმე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 778საქმისა და გეგმა შესრულდა 256%-ით. მიღებულია პირადი შემადგენლობის 959 ს/ერთეული, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 274საქმისა და გეგმა შესრულდა 350%-ით.

ტერიტორიულ ორგანოს არქივებში მიღებულია სულ **მმართველობითი** ხასიათის 522 საქმე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 395საქმისა და გეგმა შესრულდა 132%-ით: **ქობულეთის არქივში** 108 საქმე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 125 საქმისა, და გეგმა შესრულდა 86%-ით, **ხელვაჩაურის** არქივში 32 საქმე . **ქედის არქივში** საქმე 92 ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 65 საქმისა და გეგმა შესრულდა 141%-ით, **შუახევის** არქივში 92 საქმე _ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 85 საქმისა და გეგმა შესრულდა 108%-ით, **ხულოს არქივში** საქმე _198 ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 120 საქმისა და გეგმა შესრულდა 165%-ით.(იხ.დანართი- III 7.ა.ბ.)

2017 წელს სამმართველოსა და ტერიტორიულ ორგანოს არქივებში მიღებული იქნა **პირადი შემადგენლობის** სულ 1610 საქმე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 794 საქმისა და გეგმა შესრულდა 202 %-ით. აქედან: საარქივო **სამმართველოში** _ მიღებული იქნა 959 საქმე, ნაცვლად გეგმით

გათვალისწინებული 274 საქმისა და გეგმა შესრულდა 350%-ით; **ქობულეთის** არქივში მიღებული იქნა 472 საქმე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 340 საქმისა და გეგმა შესრულდა 138 %-ით; **ქედის** არქივში მიღებული იქნა 8 საქმე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 30 საქმისა და გეგმა შესრულდა 26%-ით; **შუახევის** არქივში მიღებული იქნა 70 საქმე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 70 საქმისა და გეგმა შესრულდა 100%-ით; **ხულოს** არქივში მიღებული იქნა 101 საქმე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 80 საქმისა და გეგმა შესრულდა 126%-ით; **ხელვაჩაურის** არქივში მიღება გეგმით არ იყო გათვალისწინებული.

ასევე მიღებული იქნა ფოტოდოკუმენტები: საარქივო სამმართველოსა და ტერიტორიულ ორგანოს არქივებში მიღებულია სულ 1321 ფოტოდოკუმენტი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 585 ფოტოდოკუმენტისა და გეგმა შესრულდა 225%-ით.. აქედან საარქივო **სამმართველოში** მიღებულია 1206 ფოტოდოკუმენტი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 500 ფოტოდოკუმენტისა და გეგმა შესრულდა 241 %-ით, ხოლო ტერიტორიულ ორგანოს არქივებში სულ მიღებულია 115 ფოტოდოკუმენტი. აქედან **ქობულეთის** არქივში მიღებულია 46 ფოტოდოკუმენტი, **ხელვაჩაურის** არქივში 20 ფოტოდოკუმენტი, **ქედის** არქივში 10 ფოტოდოკუმენტი, **შუახევის** არქივში მიღებულია 12 ფოტოდოკუმენტი.**ხულოს არქივში** 27 ფოტოდოკუმენტი.(იხ. დანართი _ III.7ᵃ ა.გ.დ. პუნქტი).

მიღებული საქმეები შემოწმდა და შედარდა საექსპერტო-შემმოწმებელ კომისიაზე დამტკიცებულ აღწერილობით სიებს, შემოწმდა საქმეთა ფიზიკური მდგომარეობა და სათანადო საქმეთა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ განთავსდა ფონდსაცავების თაროებზე. მიღებული ფოტოდოკუმენტები დალაგდა თემატურად. თითოეული ფოტო ჩაიწყო კონვერტში, გაიშიფრა და ანოტაცია გაუკეთდა ფოტოზე ასახულ მოვლენებს, რომლებიც შეიცავენ ჩვენი კუთხის ისტორიის ამსახველ მოვლენებს. შემოტანილ მასალებზე შედგა ფოტოანაწერები თემების მიხედვით. ასევე ფოტო ფირებზე აღიბეჭდა საარქივო სამმართველოში გამართული სხვადასვა ღონისძიებები.

8. დოკუმენტების მიზნობრივ-შემფასებელი ექსპერტიზა _ გადათვალიერება.

2017 წელს სამმართველოს ცენტრალურ არქივსა და ტერიტორიულ ორგანოს არქივებში დაცული დოკუმენტების მიზნობრივ-შემფასებელი ექსპერტიზა ჩაუტარდა 6932 ფონდის სულ საქმეს _ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2931 საქმისა და გეგმა შესრულდა 236%-ით, მაკულატურაში გამოიყო სულ 2112 საქმე, აღწერილობითი სია შედგა 4820 შესანახ საქმეთა ერთეულზე.

ექსპერტიზა ჩაუტარდა **მმართველობითი** ხასიათის 4 ფონდის სულ 730 საქმეთა ერთეულს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 729 საქმეთა ერთეულისა და გეგმა შესრულდა 100%-ით, მაკულატურაში გამოიყო 516 საქმე და ანაწერი შედგა 214 შ/ ერთეულზე.

სამმართველოს ცენტრალურ, ხელვაჩაურის და ხულოს არქივებში მმართველობითი ხასიათის საქმეების ექსპერტიზა გეგმით არ იყო გათვალისწინებული.

ექსპერტიზა ჩაუტარდა **პირადი შემადგენლობის** სულ 29 ფონდის 6202 საქმეს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2202 საქმისა და გეგმა შესრულდა 281%-ით. მაკულატურაში გამოიყო 1596 საქმე, ფონდში დარჩა _4606 საქმეთა ერთეული. საარქივო **სამმართველოში** ექსპერტიზა ჩაუტარდა 25 ფონდის 5546 საქმეს, მაკულატურაში გამოიყო 1464 საქმე და ფონდში დარჩა _ 4082 საქმეთა ერთეული.

შუახევის არქივში ექსპერტიზა ჩაუტარდა 2 ფონდის 318 საქმეთა ერთეულს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 318 საქმისა და გეგმა შესრულდა 100%-ით. მაკულატურაში გამოიყო 49 საქმეთა ერთეული (თვის, კვარტლის ანგარიშები, სიები, მიმოწერა პრემირების შესახებდა დროებითად შესანახი საქმეები) და ფონდში დარჩა 270 საქმეთა ერთეული.

ხულოს არქივში ექსპერტიზა ჩაუტარდა 2 ფონდის 337 ს/ერთეულს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 335 საქმისა და გეგმა შესრულდა 100%-ით (მაკულატურაში გამოიყო 83 დროებითად შესანახი საქმეები) ფონდში დარჩა 254 საქმე.

ქობულეთის, ხელვაჩაურისა და ქედის არქივებში მიზნობრივი ექსპერტიზა გეგმით არ იყო გათვალისწინებული.

ასევე მიზნობრივი ექსპერტიზა ჩაუტარდა 1960-2002 წლების 620 ფოტოდოკუმენტს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 600 ფოტოდოკუმენტისა და გეგმა შესრულდა 103%-ით. ექსპერტიზის შედეგად მაკულატურა არ გამოიყო. (იხ. დანართი III.8.ა,გ. პუნქტი).

9. საარქივო სამმართველოს საექსპერტო-შემმოწმებელი კომისიის მიერ დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების საქმეთა ანაწერების დამტკიცება (შეთანხმება).

2017 წელს საარქივო სამმართველოში ჩატარდა მუდმივმოქმედი საექსპერტო-შემმოწმებელი კომისიის 5 სხდომა, რომელზედაც განხილული იქნა დაწესებულება-ორგანიზაციის 71საკითხი, მათ შორის მმართველობითი ხასიათის 2466 საქმე, ხანგრძლივად1244 შესანახი _ საქმე, პირადი წარმოშობის 193 საქმე, ფოტოდოკუმენტი 1288.

აქტის მიხედვით გასანადგურებლად შეირჩა 9981 საქმეთა ერთეული. ასევე განხილული იქნა 7 საქმეთა ნომენკლატურა, ინსტრუქციები და დებულებები.

10. საარქივო სამმართველოში მეცნიერულ-ტექნიკურად დამუშავება სახელშეკრულებო საწყისებზე არ ხორციელდება, რადგან განყოფილების სპეციალისტები ღებულობენ შტატით გათვალისწინებულ სახელფასო სარგოებს.

2017 წელს საარქივო სამმართველოს დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების სპეციალისტების მიერ **მეცნიერულ-ტექნიკურად დამუშავდა 38** დაწესებულება-ორგანიზაციის 20 278 საქმე, მათ შორის მუდმივად შესანახი _1699 საქმე, ხანგრძლივად შესანახი _2652 საქმე, დროებითად შესანახი 2015საქმე, მაკულატურაში გამოიყო 13 912 საქმეთა ერთეული. დაწესებულება-ორგანიზაციის საარქივო დოკუმენტების დამუშავება მიმდინარეობდა გეგმის

გათვალისწინებით. ასევე დამუშავების თანამშრომლების მიერ შემუშავდა საქმისწარმოების ნორმატიული დოკუმენტები: სხვადასხვა ორგანიზაცია-დაწესებულების საქმეთა ნომენკლატურები, დებულებები, საქმისწარმოების ინსტრუქციები.(იხილეთ დანართი III.10.ა).

IV _ დოკუმენტების გამოყენება

11. . შეკითხვების შესრულება

2017 წელს შემოვიდა მომართვები და სოციალურ-უფლებრივი ხასიათის სულ 5223 შეკითხვა, აქედან დადებითი პასუხი გაეცა 4465 შეკითხვას, უარყოფითი 911 -ს. ბიუჯეტში ჩაირიცხა 53042 ლარი.

მათ შორის **საარქივო სამმართველოში** 2017 წელს შემოვიდა სულ 304 სოციალურ-უფლებრივი ხასიათის მოქალაქეთა განცხადება, 186 განცხადებაზე გაიცა და დებითი პასუხი. უარყოფითი პასუხი გაიცა 118განცხადებაზე. საარქივო მომსახურეობიდან სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხა 2664 ლაარი

ქობულეთის არქივში შემოვიდა სულ _595 შეკითხვა, დადებითი პასუხი გაეცა 569 განცხადებას, უარყოფითი 26 . ბიუჯეტში ჩაირიცხა _ 14290 ლარი.

ხელვაჩაურის არქივში შემოვიდა სულ 2532 შეკითხვა, დადებითი პასუხი გაეცა 2188 შეკითხვას, უარყოფითი _ 344 ს, ბიუჯეტში ჩაირიცხა 22 660 ლარი.

ქედის არქივში შემოვიდა სულ-868 შეკითხვა, დადებითი პასუხი გაეცა _715 , უარყოფითი 153 პასუხი. ბიუჯეტში ჩაირიცხა _6219 ლარი.

შუახევის არქივში შემოვიდა სულ _ 924 შეკითხვა, დადებითი პასუხი გაეცა _807 , უარყოფითი _117 , ბიუჯეტში ჩაირიცხა _3376 ლარი.

ხულოს არქივში შემოვიდა სულ _1217 შეკითხვა, დადებითი პასუხი გაეცა _1064 შეკითხვას, უარყოფითი _153-ს, ბიუჯეტში ჩაირიცხა _3833 ლარი.

12. დოკუმენტების გამოფენის ორგანიზება.

2017 წელს სამმართველოსა და ტერიტორიულ ორგანოს არქივებში მოეწყო 14 გამოფენა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10 გამოფენისა, გეგმა შესრულდა 140%-ით. აქედან საარქივო სამმართველოში 7 გამოფენა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2 გამოფენისა და გეგმა შესრულდა 285 %-ით. ხოლო ტერიტორიულ ორგანოს არქივებში შესრულდა 7 გამოფენა. ქობულეთში - 1; ხელვაჩაურში 2; შუახევში - 2; ხულოს არქივში 2.

მოეწყო გამოფენა:

1. საქართველოს ოკუპაცია და ანექსია საბჭოთა რუსეთის მიერ (2017 წ. 14 – 23 თებერვალი)
2. 1921 წელი, საარქივო სამმართველოსა და შსს-ს ერთობლივი გამოფენა (2017 წ. 24 თებერვლიდან)
3. შსს არქივის ბეჭდური პროდუქციის გამოფენა (2017 წ. 24 თებერვლიდან)
4. ივანე ჯავახიშვილის, გიორგი ლეონიძის პირადი წერილების გამოფენა (2017 წ. თებერვალი)
5. საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი გამოფენა (2017 წ. 18 – 29 მაისი).

6. პოლონეთის შესახებ არსებული საარქივო დოკუმენტების და საარქივო სამმართველოს ბეჭდური პროდუქციის გამოფენა (2017 წ. 4-15 სექტემბერი)

7. ძველი და ახალი ბათუმი (4-15 ოქტომბერი)

ტერიტორიულ არქივებში (ქობულეთი, ხელვაჩაური, ქედა, შუახევი, ხულო) მოეწყო თამარ მეფის დღისადმი მიძღვნილი, არქივ|ში დაცული საარქივო დოკუმენტების გამოფენები (18.05.2016წ.)

გამოფენასთან ერთად მოეწყო სლაიდშოუები.

13. რადიო და ტელე გადაცემის მომზადება.

2017 წელს საარქივო სამმართველოში მომზადდა და რადიო-ტელევიზიით გადაიცა 7 გადაცემა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4 გადაცემისა: სამმართველოში 5 გადაცემა, ქედის არქივში-1 გადაცემა, ხულოს არქივში -1 გადაცემა.

1. თამაზ ფუტკარაძე, დოკუმენტური ფილმი ,,არტაანი“ (რეჟისორი ანზორ ქათამაძე) (განმეორდა არაერთხელ. მათ შორის 23 იანარს, აჭარის ტელევიზიით);

1. დოკუმენტური ფილმი. რჩეული ფრაგმენტები ,,ყადირ შერვაშიძე“ (აჭარის ტელევიზია, 3 იანვარი, 2017, 21.43 სთ.) (მრავალჯერადი განმეორება);

2. ე. ჩაგანავა, ნ. გვარიშვილი, მ. ცხადაძე, ,,დილის ტალღა“, 2017 წ. 4 მარტი, არქივისტის დღესთან დაკავშირებით;

3. ფრიდონ ქარდავა, რჩეული ფრაგმენტები, ივანე ანდრონიკაშვილი, (აჭარის ტელევიზია, 31 იანვარი, 2017, 19 მაისი, 2017);

4. თ. ფუტკარაძე, იური სიხარულიძის 90 წლის იუბილე (აჭარის ტელევიზია, 25 ივნისი, 2017 წ.).

14. სტატიების და დოკუმენტების მომზადება (პუბლიკაცია).

2017 წლის მონაცემებით მომზადდა და გამოქვეყნდა 33 სტატია, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10 სტატიისა: აქედან საარქივო სამმართველოში მომზადდა 24 სტატია, ქობულეთის არქივში 2; ხულოს არქივში 2; ხელვაჩაურში 1; ქედის არქივში 1; შუახევის არქივში 1 სტატია.

1. მაია ივანიშვილი, საარქივო სამმართველო აჭარისა და ბათუმის ერთ-ერთ- უმნიშვნელოვანესი, მიმზიდველი და საინტერესო დაწესებულება. ,,აჭარის არქივი“, N 2, მარტი, 2017;

2. თამაზ ფუტკარაძე, დოკუმენტების რესტავრაციის თანამედროვე მეთოდები, ,,აჭარის არქივი“, N 2, მარტი, 2017;

3. ელგუჯა ჩაგანავა, ისტორიის საგანძური, ,,აჭარის არქივი“, N 2, მარტი, 2017;

4. მაია რურუა, ერთი შენობის ორი ისტორია, ,,აჭარის არქივი“, N 2, მარტი, 2017;

5. ნარგიზ ბასილაძე, მამია ვარშანიძე, ცხოვრება და ღვაწლი, ,,აჭარის არქივი“, N 2, მარტი, 2017;

6. ნატო ქიქავა, კონფერენცია - სამეცნიერო აზრთა გაცვლისა და გამოცდილების გაზიარების საუკეთესო საშუალებაა, ,,აჭარის არქივი“, N 2, მარტი, 2017;

7. ფრიდონ ქარდავა, საიდუმლო სამსახური ტოლსტოის წინააღმდეგ ანუ დაბეჭდვამდე აკრძალული თხზულება, ,,აჭარის არქივი“, N 2, მარტი, 2017.

8. მომზადებულია 7 სტატია, რომელიც დეკემბრის მეორე ნახევარში დაიბეჭდება გაზეთ ,,აჭარის არქივი“-ს მესამე ნომერში.

სამეცნიერო სტატიები:

9. ელგუჯა ჩაგანავა, ნატო ქიქავა, ეთერ მიქელაძე, აჭარის საარქივო სამმართველოს მიერ 2016 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში, ,,არხეიონი“ N 13, თბ. 2017;

10. ნინო გოგიტიძე, ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა საარქივო სამმართველოში დაცული დოკუმენტების მიხედვი (ფონდი ი-37),,არხეიონი“ N 13, თბ. 2017;

11. მზია სურმანიძე, ბათუმის პუშკინის ვაჟთა სასწავლებელი საარქივო სამმართველოში დაცული დოკუმენტების მიხედვი, ,,არხეიონი“ N 13, თბ. 2017;

12. ფრიდონ ქარდავა, კრწანისის ველი და თებერვალი, ,,არხეიონი“ N 13, თბ. 2017;

13. თამაზ ფუტკარაძე, ქეთევან ფუტკარაძე, თონე//თანდური და კერა არტაანის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ,,არხეიონი“ N 13, თბ. 2017;

14. თამაზ ფუტკარაძე, რეცენზია წიგნზე: ,,საქართველოს ოკუპაცია, ბოლშევიკური ინტერპრეტაციები, ,,არხეიონი“ N 13, თბ. 2017;

15. ნატო ქიქავა, თამაზ ფუტკარაძე, საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობები აჭარის საარქივო სამმართველოში დაცული დოკუმენტების მიხედვით. ,,არხეიონი“ N 14, თბ. 2017;

16. თამაზ ფუტკარაძე, ბადრი კაკაბაძე- ქველმოქმედი, მეცენატი. ,,არხეიონი“ N 14, თბ. 2017;

17. მაია რურუა, თოვდა და თბილისს ეხურა თალხი. ,,არხეიონის“ N 14, თბ. 2017;

18. თამაზ ფუტკარაძე, არტაანელთა სამეურნეო ცხოვრების ზოგიერთი საკითხი, ,,არხეიონის“ N 14, თბ. 2017;

19. თამაზ ფუტკარაძე, ციცი ცინცაძე, სოსო სტურუა. გურია-სამეგრელოს ეპარქია და ეპისკოპოს გრიგოლის წერილები დეკანოზ სიმონ ქიქოძისადმი. სამხრეთ-დასავლეთი საქართველო: ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, VII,თბ. 2017

20. ფრიდონ ქარდავა, ნინო გოგიტიძე, მზია სურმანიძე, ნიკოლოზ გომანის მოღვაწეობის ზოგიერთი საკითხი. სამხრეთ-დასავლეთი საქართველო: ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, VII,თბ. 2017

21. ნატო ქიქავა, თამაზ ფუტკარაძე, აჭარაში მცხოვრები ბერძნების კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა საარქივო სამმართველოში დაცული დოკუმენტების მიხედვით. სამხრეთ-დასავლეთი საქართველო: ისტორია,

არქეოლოგია, ეთნოლოგია. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, VII,თბ. 2017

22. თენგიზ პარმაქსიზიშვილი, ქართველ კათოლიკეთა წვლილი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსა და თურქეთში მცხოვრებ ქართველთა შორის ქართული მემკვიდრეობისა და მშობლიური ენის დაცვის საქმეში. სამხრეთ-დასავლეთი საქართველო: ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, VII,თბ. 2017;

23. მაია რურუა, ერთი ფოტოს ისტორია ანუ ფოტო გვიამბობს თავის თავზე. სამხრეთ-დასავლეთი საქართველო: ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, VII,თბ. 2017;

24. თამაზ ფუტკარაძე, ქეთევან ფუტკარაძე, მესაქონლეობის სამეურნეო-კულტურული ასპექტები არტაანელთა ყოფაში. სამხრეთ-დასავლეთი საქართველო: ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, VII,თბ. 2017.

1. სისტემატურად მზადდება სიახლეები და სხვა სახის საინფორმაციო მასალები ვებ-გვერდზე განთავსებისათვის;
2. მიმდინარეობს არქივისა და არქივის ვებსაიტის პოპულარიზაცია ფეისბუქის საშუალებით .

15. არქივში კონფერენციების, ექსკურსიების და გაკვეთილების ჩატარება.

სამმართველოში და მის ტერიტორიულ ორგანოს არქივებში სტუდენტებს და მოსწავლეებს ჩაუტარდა 57 ექსკურსია-გაკვეთილი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 34 ე ქსკურსია-გაკვეთილისა. სსიპ პროფესიული კოლეჯის მოსწავლეებს ჩაუტარდათ ექსკურსია- გაკვეთილი:

1. ,,ბათუმისა და მისი ოლქის მმართველობის საბჭო“ (ფრ. ქარდავა, 16.01. 2017);
2. სსიპ ბათუმის N 1 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეებს ჩაუტარდათ ექსკურსია - გაკვეთილი ,,თვითმმართველობის არჩევნები ბათუმში“, (ნ. გოგიტიძე, ფრ. ქარდავა , 23.03. 2017);
3. შპს ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლო ოფისის მენეჯერის 3-ე საფეხურის მოსწავლეებს ჩაუტარდათ ექსკურსია გაკვეთილი (მ. სურმანიძე, ნ. გოგიტიძე, 21.04.2017);
4. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტნის ისტორიის სპეციალობის მესამე კურსელებს ჩაუტარდათ ლექცია - გაკვეთილი (მ. სურმანიძე, 16.05.2017);
5. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის მაგისტრატურის პირველი კურსის სტუდენტებს ჩაუტარდათ ლექცია-გაკვეთილი, მოეწყო გამოფენა შესაბამისი თემატიკის მიხედვით, შემდეგ არქივის ყველა ფონდსაცავში მოეწყო ექსკურისა-გაკვეთილი (ფრ. ქარდავა, 07.06.2017);

6. ბათუმის საზოგადოებრივი აკადემიის ოფის-მენეჯმენტის სპეციალობის მდივან-რეფერანტის მეოთხე საფეხურის სტუდენტებს ჩაუტარდათ პრაქტიკული მეცადინეობა სამკითხველო დარბაზში მუშაობის წესების შესახებ“ (მ. სურმანიძე, ნ. გოგიტიძე, 08-09.06.2017);

7. გაზეთ ,,ბათუმელების“ ჟურნალისტებს ჩაუტარდათ ლექცია-გაკვეთილი დარბაზში მკვლევართა მომსახურებისა და არქივში დაცული ისტორიული დოკუმენტების გამოყენების შესახებ (ფრ. ქარდავა).

8. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტნის ისტორიის სპეციალობის მეორე კურსელებს ჩაუტარდათ ლექცია - გაკვეთილი თემაზე: ,,ბათუმის სახელოსნო სასწავლებელი“ (16 ნოემბერი, 2017. მ. სურმანიძე);

9.ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტნის ისტორიის სპეციალობის მეორე კურსელებს ჩაუტარდათ ლექცია - გაკვეთილი თემაზე: ,,ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა (12 ოქტომბერი, 2017. ნ. გოგიტიძე);

16. ჩატარდა ღონისძიებები:

1. საარქივო სამმართველოსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის ერთობლივი ღონისძიება **,,საქართველოს ოკუპაცია, ბოლშევიკური ინტერპრეტაციები, 1921“ წიგნის პრეზენტაცია** (24 თებერვალი, 2017. გაშუქდა აჭარის ტელევიზიის 25 თებერვლის, ტვ-25-ის 24 თებერვლის საინფორმაციო გადაცემებში);

არქივისტის დღე (3 მარტი. გაშუქდა ტელევიზიით, ,,ტვ აჭარის“ საღამოს საინფორმაციო გადაცემაში);

1. **დედისა და ქალთა დღეები** (3 მარტი. გაშუქდა ტელევიზიით, ,,ტვ აჭარის“ საღამოს საინფორმაციო გადაცემაში);

2. შეხვედრა სახელოვან მეცნიერთან, პირველი ქართული კოსმოსური საფრენი აპარატის შემქმნელთან **ელგუჯა მეძმარიაშვილთან** (პირადი ფოდნის შექმნასთან დაკავშირებით, 30 მარტი);

3. შეხვედრა ომის ვეტერანთან, არქივისტ **ს. ტაბაღუასთან** და ფასიანი საჩუქრის გადაცემა (9 მაისი, 2017 წელი);

4. **საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, 26 მაისი.** დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ გმირთათვის პატივის მიგება (26 მაისი, 2017 წელი);

5. **ზურაბ გორგილაძის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი** მიძღვნილი ღონისძიება (31 მაისი, 2017 წელი);

6. **ბავშვთა დღისადმი** მიძღვნილი ღონისძიება - სტუმრობა ბავშვთა სახლის აღსაზრდელებთან და ფასიანი საჩუქრების გადაცემა (1 ივნისი, 2017 წელი).

7. **ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 180** წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო ხელვაჩაურისა და ქობულეთის რაიონულ არქივებში (2017 წ. 20 და 21 ივნისი)

8. **ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 180** წლისთავისადმი მიძღვნილი საჯარო ლექცია პროფ. შუშანა ფუტკარაძე) (23 ოქტომბერი, 2017)

9. პეტერბურგის საარქივო **დოკუმენტების პრეზენტაცია** (6 დეკემბერი, 2017)

ჩატარდა მე-7 საერთაშორისო კონფერენცია.

17. სამკითხველო დარბაზში მკვლევართა მუშაობის ორგანიზება.

სამკითხველო დარბაზი 2017 წელს მოემსახურა 36 მკვლევარს, აქედან ქობულეთის არქივში 1 მკლევარი, საარქივო სამმართველოში 35 მკლევარი, რომელთა მომსახურეობის მიზნით მომზადდა, შეირჩა და მათ მიერ გამოყენებული იყო _350 საქმე, მკვლევარები მუშაობდნენ თემაზე:

1.ზ. მარგიევი, არქიტექტორები, მოქანდაკეები, მწერლები ბათუმში XIX-XX სს. მიჯნაზე;

2.მერაბ მეგრელიშვილი, აჭარა 1888-2015 წლებში;

3.ნუგზარ ვარშანიძე, მამია ვარშანიძის შემოქმედება;

4. ჯუმბერ მოწყობილი, მოწყობილების გვარის ისტორია;

5. თემურ ტუნაძე, ,,ბათუმის წყლის ისტორია დაარსებიდან XX საუკუნის 20-30-იან წლებამდე.

1. მაია ჭიჭილეიშვილი, „მე-19 და მე-20 საუკუნეების ბათუმის არქიტექტურა“ (1878 - 2000 წწ.)

2. ოთარ თურმანიძე, „აჭარა 1878-5015 წწ “;

3. გიორგი პაპაშვილი, „ბათუმის ქალაქგეგმარება და ურბანული განვითარება

დავით ხოშტარია 1918 წლამდე“.

4. ქეთევან ლორთქიფანიძე, ნატო ახალაია, ზეზვა ქავტარაძე „ებრაელები საქართველოში“;

5. ლეილა ლორთქიფანიძე, „სოფ. ხალის ისტორია“;

6. ნატო ჯაში-შაინიძე, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარება მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში“;

7. სერგო დუმბაძე, „ხულოს ისტორია“ ;

8. ბაგიროვა ირადა, რახმანზადე შამილ ფაზილ-ოღლუ „აზერბაიჯანულ-ქართული ურთიერთობები მე- 19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში“;

9. მიხეილ ბასილაძე, „საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდი, 1918-1921 წწ“

10. მარიკა ჩაჩავა, „ლევან ვარშალომიძის შეხვედრების ამსახველი სატელევიზიო მასალები 2004- 2012 წწ“;
11. ალექსანდრე ჩხაიძე , „სოციალ-პოლიტიკური ვითარება ბათუმის ოლქში მე- 19 საუკუნის ბოლოს“;
12. ალიოშა ბაკურიძე , „აჭარის რეგიონის სამკურნალო მცენარეები, კულტივირება, გადამუშავება, რეალიზაცია მე-20 საუკუნის მონაცემებით“.
13. ბიძინა ორაგველიძე - იულია ფაილოძე (1940-1985);
14. ნინო გოგიტიძე - ალამბრის საჯარო სკოლა 1900-1980 წწ.;

15. სოფიო ჭანიშვილი;
16. ჯუმბერ ქორჩილავა, ჩაქვის ისტორია (1890-1990 წწ.;
17. ელა საგინაძე, ,,ახალგაზრდა თურქეთი“-ს რევოლუციის გავლენა რუსეთის რევოლუციაზე (1905-1908 წწ.;
18. დათო აბულაძე, მუსულმანური თემები საქართველოში და საჯარო პოლიტიკის წარმოება;
ნეა ხახუტაიშვილი, ჩემი ქალაქი მე-19-20 სს. მიჯნაზე;
19. ანა ბარამიძე
20. ლიზი ბაგრატიონი;
21. თემურ ნიჟარაძე, მუჰაჯირობა;
22. ნათია ჯინჭარაძე, ქართული ტაძრების არქიტექტურა მე-18-19 სს. მიჯნაზე;
23. ლენო ქორჩილავა, ქართული ტაძრების არქიტექტურა მე-18-19 სს. მიჯნაზე;
24. მაია ჭიჭილეიშვილი, ბათუმის არქიტექტურა 1878-2000 წწ.;
25. თენგიზ ცეცხლაშვილი, ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დაარსება (1900-1940 წწ.);
26. ოთარ თურმანიძე, აჭარა 1878-2015 წწ.;
27.უჩა ოქროპირიძე, აჭარის მუნიციპალიტეტების ისტორია 1878-2000 წწ. ქობულეთის მუნიციპალიტეტი.

მკვლევართათვის განხორციელდა ტექნიკური დოკუმენტების სკანირება, რედაქტირება და მათი ელექტრომატარებლებზე გადატანა (ფ. ქარდავა, მ. სურმანიძე, ნ. გოგიტიძე).

18. გამოიცა:

1. . მომზადდა და გამოიცა საარქივო სამმართველოს გაზეთი **,,აჭარის არქივი“ – ს** მეორე და მესამე ნომერი (2017 წ. მარტი, დეკემბერი) (გეგმის გარეშე)

2. გამოიცა „არხეიონის“ მეცამეტე და მეთოთხმეტე ნომერი;

3. გამოიცა საარქივო სამმართველოს მეშვიდე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები

4. მომზადდა ბუკლეტი ,,აჭარის საარქივო სამმართველოს მიერ 2016 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში“;

19 _ თემატური ნუსხების მომზადება

2017 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო 3 თემატური ნუსხის მომზადება, ფაქტიურად მომზადდა 3 თემატური ნუსხა:

1. ლუთერანულ - ევანგელისტური, ქრისტიან-ევანგელისტ-ბაპტისტური სამლოცველოები აჭარაში (ფრ. ქარდავა, მ. სურმანიძე, ნ. გოგიტიძე);

2. საფოსტო - სატელეგრაფო საქმის განვითარება აჭარაში 1878 – 1930 წლებში (ფრ. ქარდავა, ნ. გოგიტიძე, მ. სურმანიძე).

3. „ბათუმის ქუჩები 1950-2000 წწ“ (28 ნოემბერი, 2017. ნ. გოგიტიძე, ფრ. ქარდავა, მ. სურმანიძე)

19 _ საინიციატივო ინფორმაცია.

2017 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო 2 საინიციატივო ინფორმაციის (წერილი) მომზადება. M

1. მომზადდა საინიციატივო წერილი სოფ. ხალის სკოლის დაარსებისა და მისი პირველი გამგის სეიდ გვარიშვილის შესახებ (მ. სურმანიძე, 16.05.2017);
2. მომზადდა საინიციატივო წერილი ბათუმის ბოტანიკური ბაღის ხელმძღვანელთა მიმოწერები ბაღის ტერიტორიაზე ელექტროსადენების შეყვანისა და მცენარეთა უნიკალური ჯიშების შეძენის შესახებ (2017 წ. 1 დეკემბერი. ნ. გოგიტიძე, მ. სურმანიძე)

20.ქალაქის მემორიალური მემკვიდრეობის აღრიცხვა, ფოტოფიქსაცია

აღირიცხა და ფოტოფიქსაცია გაუკეთდა მემორიალური მემკვიდრეობის (სკულპტურა, მემორიალური დაფები...) ძეგლებს ბათუმის შემდეგ ქუჩებზე:

1. ახმედ მელაშვილის ქუჩა;
2. გიორგი ბრწყინვალის ქუჩა;
3. ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩა;
4. ზვიად გამსახურდიას ქუჩა;
5. ვაჟა ფშაველას ქუჩა;
6. ირაკლი აბაშიძის ქუჩა;
7. პეტრე მელიქიშვილის ქუჩა;
8. ალ. პუშკინის ქუჩა;
9. ზუბალაშვილის ქუჩა;

10.შოთა რუსთაველის ქუჩა;
11.ეგნატე ნინოშვილის ქუჩა;
12.დემეტრი თავდადებულის ქუჩა;
13.ალი სამსონიას ქუჩა;
14.ქუთაისის ქუჩა;
15.დ. კლდიაშვილის ქუჩა;
16.ვახტანგ გორგასალის ქუჩა
17.კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩა;
18.ზურაბ გორგილაძის ქუჩა;
19.მემედ აბაშიძის ქუჩა;
20.მიხეილ ლერმონტოვის ქუჩა;
21.ფარნავაზ მეფის ქუჩა;
22.სულიკო ჟღენტის ქუჩა;
23. ხარიტონ ახლვედიანის ქუჩა;
24. ლუკა ასათიანის ქუჩა;
25. მაზნიაშვილის ქუჩა;
26. ინასარიძის ქუჩა;
27. ნიკო ფიროსმანის ქუჩა;
28. მურად ხინიკაძის ქუჩა;

29. ნოე ჟორდანიას ქუჩა;
30. ოთარ ჭილაძის ქუჩა;
31. ხულოს ქუჩა;
32. საიათნოვას ქუჩა;
33. ნოდარ დუმბაძის ქუჩა;
34. მარჯანიშვილის ქუჩა;
35. მერაბ კოსტავას ქუჩა;
36. 26 მაისის ქუჩა;

20. დოკუმენტების ციფრულ მატარებლებზე გადატანა.

საარქივო სამმართველოში შექმნილი საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და დიგიტალიზაციის განყოფილების მიერ, რომელიც ქაღალდსაფუძვლიანი დოკუმენტების ციფრულ მატარებელზე გადატანის უზრუნველყოფით არის დაკავებული 2017 წელს შესრულდა: 14 ფონდის 32 334 საქმის, **2. 247 213** გვერდის **სკანირება,** ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 32844 საქმის 2.000 000 გვერდისა და გეგმა შესრულდა 112%-ით. მათ შორის საარქივო **სამმართველოში** დასკანერდა 30 778 საქმის 1.757 021 გვერდი, **ქობულეთის** არქივში 1046 საქმის 383 474 გვერდი, **ხელვაჩაურის** არქივში დასკანერდა 510 საქმის 106 718 გვერდი. **დარედაქტირდა** 1380 საქმის 1.818 227 გვერდი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.726 075 გვერდისა და გეგმა შესრულდა 105%-ით. პროგრამაში ატვირთულია 16 ფონდის 29 ანაწერი მისი ანოტაციებით სულ 9021ს/ერთეული (იხ. დანართი 20).

21. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება.

საარქივო დარგის სრულყოფისათვის საარქივო სამმართველოსა და ტერიტორიულ ორგანოს არქივების (ქობულეთი, ხელვაჩაური, ქედა, შუახევი, ხულო) მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების მიზნით, 2017 წელს განხორციელდა 347 773 ლარის ღირებულების სახელმწიფო შესყიდვები.

განხორციელდა 203 220 ლარის ღირებულების11 გამარტივებული ელექტრონული ტენდერი. გაფორმდა ხელშეკრულებები: დაცვის, ინტერნეტმომსახურეობის, კომპიუტერული მოწყობილობის, საკანცელარიო საქონლის და სერვისების შესყიდვასთან დაკავშირებით. თანხობრივმა ჯამმა შეადგინა 198 713 ლარი. ტენდერების შედეგად მიღებულმა ეკონომიამ შეადგინა 4507 ლარი.

კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად გაფორმებული იქნა სახელმწიფო შესყიდვის 13 ხელშეკრულება, თანხით 17199 ლარზე. შესყიდული იქნა ბენზინისა და დიზელის საწვავი, კომპიუტერული მოწყობილობები ლეპტოპი, საკომუნიკაციო მომსახურეობ, საბეჭდი ქაღალდები, საბურავები და სხვა.

განხორციელდა 131 860 ლარის ღირებულების გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება. შესყიდული იქნა: სატელეკომუნიკაციო მომსახურება, პროგრამა ,,კოდექსის“ ინსტალაცია, გამანათებელი მოწყობილობები,

ელექტრო, სამეურნეო და ჰიგიენური საქონელი. საბუღალტრო შესყიდვების პროგრამული ტრანსპორტის ტექნიკური, აუდიტორული, დაცვის მომსახურეობა, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურეობა და სხვა.

წლის განმავლობაში ჩაბარებული იქნა მაკულატურა 150 კგ. და ბიუჯეტში ჩაირიცხა 168 ლარი.

გაყიდული იქნა 5600 კგ. შავი ლითონის ჯართი და ბიუჯეტში ჩაირიცხა 2016 ლარი.

სამმართველოს უფროსი მაია ივანიშვილი